



შირაკი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№22 (9.538)

22 ივნისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ხორბლის რეალიზაციას საფრთხე არ ემუქრება“...



19 ივნისს სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გორიზია დედოფლისწყაროს რაიონში, ფერმერთა მომსახურების ცენტრში, ნისქვილკომბინატების ხელმძღვანელებს, ხორბლის მწარმოებელთა ასოციაციის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მცირე და საშუალო ფერმერებს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრმა ფერმერთან ერთად ქართული ხორბლის რეალიზაციის პრობლემები განიხილა. შეხვედრაზე ცნობილი გახდა ხორბლის ფასიც. დღევანდელი მონაცემებით, ხორბლის ფასი მსოფლიო ბაზარზე 40 თეთრია. ასოციაციის დახმარებით, ნისქვილკომბინატები ქართველი ფერმერებისგან ადგილობრივი წარმოების ხორბალს 41 თეთრად ჩაიბარებენ. ხორბლის ღირებულება პირდაპირპროპორციულად იქნება და-

მოკიდებული მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ღირებულებასთან.

დედოფლისწყაროში ჯერ მხოლოდ ქერის მოსავლის აღება დაიწყო, პურის მკას ერთ კვირაში დაიწყებენ დედოფლისწყაროელი მინამთოქმენი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემოყვანილი ახალი, თანამედროვე კომბაინები მარცვლეულის შეუფერებლად და უდანაკარგოდ აღებას უზრუნველყოფს. დღეის მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით შემოყვანილია 60-მდე კომბაინი. უახლოეს მომავალში კიდევ 40 დამატება.

შეხვედრაზე მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ფერმერები და გლეხები ხორბლის ჩაბარებისას დამატებითი ღირებულების გადასახადისგან თავისუფლები არიან.

ინგა შიოლაშვილი

ერთი უახვედრით მოგზარებულ პრობლემა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ძველი ქველი ჩასულ პრეზიდენტს C ჰეპატიტით დაავადებულმა 46 წლის ცისანა მიგრანტულმა დახმარება სთხოვა. მიხეილ სააკაშვილი კი დაპირდა, რომ წერილობით მიმართა და სულ მალე დახმარებას აღმოუჩინდა. ეს ფაქტი პრესაში მალევე გახდა ძილიძის საბანი.

მედიაში გავრცელებული შეფასებების მიხედვით, პრეზიდენტმა ქალი, რომელსაც დახმარებას დაპირდა, შეცდომაში შეიყვანა. პარლამენტარი გია ცაგარეიშვილი და ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბი სააკაშვილს დედოფლისწყაროელი ქალბატონის მოტყუებაში ადანაშაულებს. ისინი მიიჩნევენ, რომ

C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანები დაუყოვნებლივ მკურნალობას საჭიროებენ და საკითხის გადადების შემთხვევაში ისინი დაიღუპებიან.

სინამდვილეში კი, როგორც „შირაქმა“ გაარკვია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ძალისხმევით, ქალბატონი მეორე დღესვე თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსდა და ყველა საჭირო და ძვირადღირებული პროცედურა ჩაუტარდა. როგორც თავად ცისანა მიგრანტულმა „შირაქს“ განუცხადა, მკურნალობის კურსს ახლაც გადის და მის ოჯახს ამაში თეთრიც არ დახარჯვია.

„ბატონო პრეზიდენტო, აღმომაჩნდა C ჰეპატიტი, მაქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი. ყველაფერი ძვირია, ვერაფერს ვაკეთებ. ჩემი სახელით, ალბათ ათასი კაცი და

კიდევ უფრო მეტი გთხოვთ,“ - თავისი პრობლემის შესახებ თხოვა მისსავე სოფელში მყოფ სააკაშვილს ცისანა მიგრანტულმა.

„მოგხედავთ ყველაფერზე... ახლა C ჰეპატიტზე ჩვენ ვნერგავთ ახალ მეთოდოლოგიას. თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ცალკე ცენტრს ვხსნით. ახალი დაზღვევის მიხედვით ასი ლარის ღირებულების მედიკამენტებს ვფარავთ. მთავარი ის არის, რომ სპეციალური პროგრამა შეექმნით და ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას ვაპირებთ, იმიტომ, რომ ეს პრობლემა ძალიან ბევრს აქვს. C ჰეპატიტი საოცრად მოდებულია საქართველოში. ამისათვის სპეციალური თანხები უკვე გამოვყავით,“ - აღნიშნა პრეზიდენტმა.

უარყოფითი შეფასებების მიუხედავად, მიგრანტი „ში-

რაქთან“ საუბრისას ირწმუნება, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, მეორე დღესვე სამკურნალოდ თბილისში გადაიყვანეს. ის მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ ამ ნაბიჯით მას სიცოცხლე გაუხანგრძლივდება.

„5 წელია, რაც ჯანმრთელობა შემერყა და შრომისუნარო ვაგხდი. მანამდე მეუღლესთან ერთად ბაზარში ბოსტნეულს ვყიდდი და თავის რჩენას ასე ვახერხებდით. როგორც ცნობილია, C ჰეპატიტი პოლისით არ ფინანსდებოდა და მკურნალობას ამიტომაც ვერ ვახერხებდი. პრეზიდენტს ვთხოვე დახმარება, რადგან წლები გადიოდა და მკურნალობის დაწყებას ვერ ვახერხებდი. პრეზიდენტმა რეკომენდაცია გამიწია, მეორე დღესვე წამომიყვანეს თბი-

ლისში, ჩამიტარეს ყველანაირი გამოკვლევა. ამჟამად ჩემი ანალიზები ისრაელშია გადაგზავნილი, რამდენიმე დღეში ჩამოვა პასუხი და, თუ საჭირო გახდება, ლვიძის ლეროვანი უჯრედის გადანერგვის ოპერაცია ჩამიტარდება. უკვე გამიკეთდა ნაღვლის ოპერაცია, ამჟამად დროებით ვისვენებ... პასუხების შემდეგ გაირკვევა, დამჭირდება თუ არა ოპერაცია. პრეზიდენტთან საუბრის მეორე დღესვე ჩვენს სახლში სოფლის რწმუნებული მოვიდა, ჩაინერა ჩემი დიაგნოზი, მონაცემები და მეორე დღით თავისივე ავტომობილითა და საჭიროარი სახსრებით თბილისში წამომიყვანეს. არაფერში თანხა არ დამხარჯვია. ეს რომ არ აღვნიშნო, ყველაზე დიდი ცოდვა და უმადურობა იქნება.

(გაგრძელება გვ. 6)

სისკრუისა და სიმატლის ბასაყართან, ანუ, ზოგჯერ აბენტაბსას ატყუებენ **33.6**

VS სოციალური მომსახურების სააგენტო SOCIAL SERVICE AGENCY

მოძველებულ ელექტროსადენებს სოფელ გამარჯვებაში მსხვერპლი მოჭყვა **63.7**

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაბან ვერ ნაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

საკაშვილი - წელს ჩვენ გვექნება ვეელაზე მაგარი რთველი, რაც კი ოდესმე გვექონია



საკაშვილი პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის განცხადებით, წელს კახეთში იქნება ყველაზე მაგარი რთველი, რაც კი ოდესმე ყოფილა. „რიგები ამოვიკრევეთ, მერე ქარხნებმა დაიწყეს და აანყეს უკვე ჩაბარების სისტემა, ბაზრები გავეხსენით ბევრი“, - განაცხადა პრეზიდენტმა ყვარელში, საკუთარი ვენახის შენამდვის შემდეგ მეზობლებთან შეხვედრისას.

მისივე თქმით, წელს გავა 15 მილიონი ბოთლით მეტი ღვინო, ვიდრე გასულ წელს და 2 წლის წინ. „შიდა ბაზარიც გაიზარდა ტურიზმის გამო და წესით, გასაღების პრობლემა არ უნდა იყოს. გურჯაანში ვხსნით ძალიან დიდ ქარხანას და ის განტვირთავს ქვედა ზონას იქით. აქეთ ქარხნებს მაქსიმალურად ველაპარაკებით, რომ ფასები მაქსიმალურად შევეცადოთ რომ დავიჭიროთ და ზემოთაც წავიდეს. შარშან ძალიან დიდი მოსავალი გვექონდა და დავიჭირეთ ფასები. უკვე კარგია იმიტომ, რომ საფრთხე იყო, რომ ჩამოვარდნილიყო. წელს იმასთან შედარებით შეიძლება იმდენი აღარ მოვიდეს და ამიტომ, როგორმე უნდა ვიმუშაოთ შესყიდვის ფასზეც და საბაზრო მექანიზმების გამოყენებით დავარეგულიროთ, ყურძენიც უნდა ავიყვანოთ ისე, რომ ბევრად მეტი შემოსავალი მოგვცეს. დღესდღეობით ატამი, გარგარი, რალაცა უფრო მეტი შემოსავლის მომტანია და იმის დაბინავება ბევრად უფრო დიდი გამოწვევაა, ვიდრე ყურძნის, ყურძენი ასე თუ ისე ვისწავლეთ. წელს რთველი უნდა იყოს სამაგალითო“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

საარჩევნო საკითხებზე მომუშავე მედიაჯგუფის შეხვედრა გამართა

20 ივნისს თბილისში, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე მედიაჯგუფის შეხვედრა გაიმართა. მას ჯგუფში შემავალი სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაცია და ექსპერტები დაესწრნენ. სამუშაო ჯგუფი ცესკო-ს ინიციატივით საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერითა და საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩამოყალიბდა.

როგორც ჟურნალისტებს ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა განუცხადა, ეს ცესკო-სა და მედიაჯგუფის რიგით მეორე შეხვედრაა. მასზე ის ღონისძიებები განიხილება, რომელთა განხორციელებაც საარჩევნო ადმინისტრაციას მედიისათვის საკუთარი საქმიანობის უფრო გამჭვირვალედ წარმოსაჩვენად შეეძლება. შეხვედრაზე მედიასაშუალებების იმ მოთხოვნებსა და შენიშვნებსაც განიხილავენ, რომლებიც ცესკო-ს მიერ მათთვის ინფორმაციის დროულად და საჭირო ფორმატით მიწოდებას შეეხება.

ხარატიშვილი მიიჩნევს, რომ ეს საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

„ჩვენი ძირითადი პარტნიორები რეგიონული მედიასაშუალებებები არიან, რომლებთანაც ერთობლივ საქმიანობაზე შემორანდუმი გვაქვს გაფორმებული და უახლოეს დღეებში ინტენსიურ პროგრამას ვინყებთ. მათთან ერთად რეგიონებში კონფერენციებისა და ტრენინგების ორგანიზებას ვაპირებთ. ასევე გამოცხადდება საგრანტო პროგრამები რეგიონული მედიისათვის. არაერთი ღონისძიება ცენტრალური მედიისთვისაც გვაქვს დაგეგმილი“, - აღნიშნა ზურაბ ხარატიშვილმა.

შეხვედრებზე, რომლებიც პერმანენტულად იმართება, საკარტოების პარლამენტის არჩევნებისთვის მზადების პროცესში მედიისთვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ.

როგორც ცესკო-ში განმარტავენ, აღნიშნული აქტივობები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, ამომრჩეველთა ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას და საარჩევნო პროცესებში მათ მონაწილეობას.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში კი ცესკო უკვე ჩატარებული არჩევნების განხილვის მიზნით მედიასაშუალებებთან კონფერენციებსა და შეხვედრებს გაუწევს ორგანიზებას.

დედოფლისწუაროს ლანდშაფტური დაგეგმარება თურქეთში განიხილეს

13-18 ივნისს, თურქეთში, ანკარასა და კონიაში გაიმართა კონფერენცია „სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი გაუდაბნობასთან ბრძოლაში“. არასამთავრობო ორგანიზაცია ECOVISION-ი, შეხვედრაზე მინეული იქნა, რათა წარედგინა პროექტი — „დედოფლისწუაროს მუნიციპალიტეტის ლანდშაფტური დაგეგმარება“, რომელიც ECOVISION-მა განახორციელა GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით. ECOVISION-მა ასევე წარმოადგინა თავისი საქმიანობები გერემოსდაცვითი განათლების სფეროში.

როგორც „შირაქს“ ორგანიზაციიდან აცნობეს, შეხვედრის ორგანიზატორები არიან თურქეთის რესპუბლიკის ტყისა და წყლის სამინისტრო, თურქეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (TIKA) და გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის (UNCCD) სეკრეტარიატი.

შეხვედრას 40 ქვეყნიდან ესწრებოდნენ ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ გაუდაბნობასთან ბრძოლის საკითხებზე; ახორციელებენ ცნობიერების ამაღლების, კვლევით და აღდგენით პროექტებს არიდულ და სემიარიდულ ზონებში. შეხვედრის დასასრულს მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს დეკლარაცია.

„არტ-გენი 2012“ ქვარლის ტბაზე მ ივლისს გაიხსნება

წელს სახალხო ფესტივალი „არტ-გენი“ 3 ივლისს ქვარლის ტბაზე გაიხსნება. როგორც „შირაქს“ „არტ-გენის“ შემოქმედებითი ჯგუფიდან აცნობეს, წელს ფესტივალის ფარგლებში ხუთი რეგიონული ტურნეა დაგეგმილი.

კახეთის შემდეგ „არტ-გენი“ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი სამეგრელოს ესტუმრება. 6 ივლისს ფესტივალი ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გაიმართება, 8 ივლისს კი - იმერეთში, წყალტუბოს ცენტრალურ პარკში, 10 ივლისს - გურჯაანში, ჩოხატაურში - გორაბეჟაულის ტყე პარკში. რეგიონული ტურნე 12 ივლისს ფოთში მალთაყვას ტბაზე დასრულდება.

„არტ-გენის“ შემოქმედებითი ჯგუფთან ერთად ფესტივალში მონაწილეობას ადგილობრივი ფოკლორული ჯგუფები და ანსამბლებიც მიიღებენ. ასევე გაიმართება ქართული რენესიმუზისა და სხვა სახის ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა.

ფესტივალის დასკვნითი ტური თბილისში, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში 21-29 ივლისს გაიმართება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მუსიკალური ჯგუფები და შემსრულებლები დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, ლიტიდან, აფრიკიდან და მადაგასკარიდან. ეთნოგრაფიული მუზეუმის ამფითეატრის სცენაზე, ასევე მოეწყობა ნინო ქათამაძის, სუბიშვილების, „რეგიონის“, „ჩვენებურების“ „ლაშარის“, ზუმბას კონცერტი და ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შეფაროსნების“ საჩვენებელი წარმოდგენები.

ფესტივალი „არტ-გენი“ მუსიკოსების ზაზა კორინთელის (ზუმბას) და ნიაზ დისამაძის ინიციატივით 2003 წელს დაარსდა. მას შემდეგ „არტ-გენი“ ყველაზე სახალხო და მასშტაბურ ფესტივალად გადაიქცა, რომელიც ყველა თაობის მსურველისთვისაა მისაღებად. ფესტივალის ძირითად მიზანია საქართველოს ხალხური და ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაცია, ამ დარგის უცნობი და ნაცნობი ნიმუშების მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა. ასევე ყოველი მოძიებული მასალის დაარქივება და შენახვა მომავალი თაობებისთვის.

სოციალურად დაუცველი ოჯახები ჯარიმებისგან და საურავებისგან თავისუფლდებიან

სოციალურად დაუცველი ოჯახები, ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის დატაცებისთვის და უბილეთოდ მგზავრობისთვის დაკისრებული ჯარიმებისგან და საურავებისგან თავისუფლდებიან.

პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ძალაში უკვე შევიდა.

მიღებული გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული სახელეუბისგან გათავისუფლდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მარეგულირებელი ტოლია ან ნაკლებია 70 000 ლარზე; სახელმწიფო დადებული ასაკით პენსიონერი (ქალი 60 წლის ასაკიდან, მამაკაცი 65 წლის ასაკიდან) ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი) ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი (მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი).

აღნიშნული პირები გათავისუფლდებიან როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახელისაგან და საურავისაგან.

ატესტატების გაცემა დაიწყო

იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემა დაიწყო.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, სკოლის კურსდამთავრებულმა ატესტატის მიღების მიზნით პირადობის დამადასტურებელი მონაწილე უნდა წარადგინოს. განცხადების წარდგენიდან მე-10 სამუშაო დღეს დოკუმენტი უფასოდ გაცივდება, მოქმედებს დაჩქარებული მომსახურების სერვისიც და ატესტატის მიღება შესაძლებელია განცხადების წარდგენის დღიდან მე-5, მე-3, მე-2 და იმავე სამუშაო დღესაც.

ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტს განეკუთვნება სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი; სრული ზოგადი განათლების ატესტატს და გამოსაშვებ გამოცდებს ჩააბარებს; საბაზო ზოგადი განათლების ატესტატს იღებს პირი, რომელიც 9 კლასს დაამთავრებს; ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატს მიიღებს პირი, რომელიც 12 კლასს დაამთავრებს, მაგრამ ვერ ჩააბარებს ან, მონაწილეობას არ მიიღებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში.

იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში მოხდება ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ფორმების დუბლიკატების გაცემაც.

ექსკურსიაზე მყოფ ბავშვებით სავსე ავტობუსს ბაკურციხეში ცეცხლი გაუჩნდა



18 ივნისს საღამოს, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში ავტობუსს, რომელსაც რუსთავის ქართული გიმნაზიის მე-6 კლასის მოსწავლეები კახეთში ექსკურსიაზე ჰყავდა, ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაინგა. მოსწავლეებმა ცეცხლმოკიდებული ავტობუსიდან ჩამოსვლა მოასწრეს. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავდა.

წინასწარი ინფორმაციით, ავტობუსში ცეცხლი გაუმართავი ელექტროაგვანილობიდან გაჩნდა. „რომ ავედით, ფეხი მენებოდა. ვუთხარი, რომ გაცხლებულია ყველაფერი გააჩერე მეთქი. არ მოგვისმინა. ცეცხლი რომ გაჩნდა, მძროლი თვითონ გადახტა და და არც კი გაგვაფრთხილა“, - აღნიშნა ერთ-ერთი ბავშვის მშობელმა ლალი გოგინავამ.

ბავშვებს პირველადი დახმარება გურჯაანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებმა აღმოუჩინეს. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო და სამაშველო ბრიგადები, ასევე საპატრულო პოლიცია.

„გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ ბავშვებმა კვამლი შეისუნთქეს და პირის ღრუ ჰქონდათ გაღიზიანებული. სასურველი იყო და შეეთავაზებინათ, რომ ბავშვები საავადმყოფოში გადაგვეყვანა, მაგრამ მშობლებმა და მასწავლებლებმა უარი განაცხადეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა, რომ ლორწოვანი შეშუპება და ასპიქსია განვითარებულიყო. ვიდრე მათ შემთხვევის ადგილი არ დატოვეს, იქ ვიყავით, რომ სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში დროულად დავხმარებოდით“, - განაცხადა გურჯაანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმმა ნაირა ვარდოსანიძემ.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით მესხიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ზაქარია იაგანაშვილიც. მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა მიკროავტობუსები გამოიძახეს და ექსკურსიაზე მყოფი ბავშვების რუსთავში ტრანსპორტირება უზრუნველყვეს.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. საქმეს საპატრულო პოლიცია იძიებს.

ჯილდოსის პერის აღმოჩენასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკრეტული ღონისძიებები დაიხატა



მყოფ ტერიტორიაზე დაწესდა ავადმყოფი ცხოველის უკანასკნელი გამოვლენიდან 15 დღის განმავლობაში საკარანტინო ზედამხედველობა; დაავადების კერის

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის მინათსარგებლობის ტერიტორიაზე ადგილ „მწარე წყალზე“ მდებარე ყოფილ მეცხოველეობის კომპლექსში, ახმად ომაროვის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯილდოსით (ციმბირული წყულული) დაცემასთან დაკავშირებით, დაავადების კერის სანინალმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 15 ივნისის №260 ბრძანებით, დაიხატა კონკრეტული სალიკვიდაციო-პროფილაქტიკური ღონისძიებები, კერძოდ: ზედამხედველობის განხორციელების მიზნით შეიქმნა საკოორდინაციო შტაბის; ვეტკანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების, ცხოველების სამიში სნეულებების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის მინათსარგებლობის ტერიტორიაზე განთავსებული ფერმები გამოცხადდა ჯილდოს დაავადებაზე არაკეთილსაიმედოდ, ხოლო მისი მიმდებარე ტერიტორია 4 კმ-ის რადიუსით - ჯილდოს მხრივ საშიშროების ქვეშ

სანინალმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების უზრუნველსაყოფად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა 10 000 ლარი... სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალურმა სამმართველომ (თ. მთავარელიშვილი) უნდა უზრუნველყოს დაავადების არაკეთილსაიმედო კერაში და ჯილდოს მხრივ საშიშროების ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დაავადების სანინალმდეგო კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, ხოლო ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრმა (მ.გონაშვილი) - დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული ადამიანების გამოვლენა, აღრიცხვა და ეპიდზედა-მხედველობა. საკარანტინო ტერიტორიაზე აიკრძალა პირუტყვის დაკლა, ასევე, ხორცისა და ხორცპროდუქტების გატანა, რელიზაცია (კარანტინის პერიოდში). აიკრძალა კარანტინის პერიოდებში, არაკეთილსაიმედო ტერიტორიაზე, ყველა სახეობის

ცხოველის შეყვანა-გაყვანა, ასევე, დაკარანტინებულ ტერიტორიაზე ტრანსპორტის შესვლა, რომელიც არ არის დაკავშირებული ფერმის მომსახურებასთან, აიკრძალა ცხოველთა დანყურება საერთო გაუბურებიდან და სხვა წყალსატევებიდან.

ჩატარდა შტაბის სხდომა

15 ივნისსვე ჩატარდა შტაბის პირველი სხდომა, შტაბის უფროსის, გამგებლის მოადგილის ემზარ ჯანაშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში განიხილებოდა ერთი საკითხი - „მუნიციპალიტეტის გამგებლის №260 ბრძანების განხილვა და შესაბამისი ღონისძიებების გასატარებელი პროცედურული საკითხების შემუშავება“.

შტაბის წევრებმა, პირველ რიგში, განიხილეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება, შემდეგ, მოისმინეს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტების ეთერ იაკობიშვილის და მიხეილ ქევიციშვილის ინფორმაცია არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით და გამოთქვეს მოსაზრებები კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. საუბარი შეეხებოდა დაავადების გავრცელების არეალს, საკარანტინო ზომებს და გზების კონტროლის მექანიზმებს, საჯარიმო სანქციებს, სამარხის პერიმეტრის დადგენას, დეზო ბარიერების მოწყობას, დასაწყურებელი წყლის და სხვა წყალსატევების დაქლორვას, პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, კერძოდ საქონლის დროული და სისტემატური ვეტცინაციის ჩატარებას და, ამ მიზნით, კერძო ვეტერინარის

პრაქტიკის გამოყენებას. ბოლოს, მოხდა საქმიანობების მიხედვით შტაბის წევრებისთვის ფუნქციების და დავალებების გადანაწილება.

ბლიც - ინტერვიუ შტაბის წევრებთან: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტებთან ეთერ იაკობიშვილთან და მიხეილ ქევიციშვილთან:

- ჯილდოს რამდენი შემთხვევა დაფიქსირდა და რა ღონისძიებები დაეიხატა?

- სოფელ არბოშიკში, ე.წ. მწარე წყლის ყოფილი მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, დაფიქსირდა ჯილდოს განმეორებითი კერა. ეს კერა პირველად 1952 წელს გამოვლინდა. ამჟამინდელი ფაქტის შედეგად დაეცა 25 სული საქონელი, აქედან, ზოგი დაიკლა, ზოგს ჩაუტარდა მკურნა-

ბა ჯილდოს ვირუსის გამოვლენა?

- წვიმიანი ამინდების შედეგად მოხდა ნიადაგის გადარეცხვა და ნამოვიდა მიძინებული ვირუსი. თანაც, ხშირად არ ხდება პირუტყვის დროული ვეტცინაცია, ზოგჯერ კი ვეტცინაციას ვეტერინარის ნაცვლად თავად პირუტყვის მეპატრონეები აკეთებენ და ზოგჯერ ირღვევა ვეტერინარულ-სანიტარიული ნორმები.

- რა უნდა გაითვალისწინონ ხორცის რელიზატორებმა და მომხმარებლებმა?

- რა თქმა უნდა, მათ საკარანტინო პერიოდში თავი უნდა შეიკავონ ხორცის ყიდვა-მოხმარებისგან და არამართო ხორცის. საშიშია, ასევე, რძე და რძის პროდუქტები. სოფლის რწმუნებულებმა უნდა იზრუნონ მოსახლეობის ინფორმირებაზე, რომ არ მოხდეს დაავადების გავრცელება და ჯილდოთი მოსახლეობის მასობრივი დაავადება. ასევე, საჭიროა, მოხდეს საქონლის ვეტცინაცია მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რისთვისაც მოსახლეობამ უნდა გამოიყენოს კერძო ვეტერინარის მომსახურება და რეკომენდაციები. გვახსოვდეს, რომ პრევენციული ღონისძიებების გატარება უფრო იოლი და შედეგიანია, ვიდრე ვირუსის და დაავადების შედეგების ლიკვიდაცია.



ლობა; საქონელს და მიმდებარე ტერიტორიას ჩაუტარდა დეზინფექცია, ერთ ადგილას გაკეთდა სამარხი ორმოები; ფერმასთან მისასვლელ გზებზე გაკეთდა დეზო ბარიერები...
- სავარაუდოდ, რამ განაპირო-

ანა ბენაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.

ფშეთოვანი რფშვის დემონსტრირება სოფელ ფიროსმანში

უკვე მეორე თვეა, სოფელ ფიროსმანში დაიწყო საპილოტე პროექტის — „ფერმერთა ასოციაციის ჩამოყალიბება, თესლბრუნვის პრაქტიკისა და წვეთოვანი რწყვის სისტემის დანერგვა სახნავი მიწების დეგრადაციის პრევენციისა და შერბილების მიზნით“ — განხორციელება, რეგიონული პროექტის „მინის რესურსების მდგრადი მართვა მინის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ ფარგლებში. 17 ივნისს პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ — „რეგისტრირებული კავშირი-აგრარული და გარემოსდაცვითი ასოციაცია“ — სოფელ ფიროსმანში პროექტის პროგრამით ჩამოყალიბებულ „სოფლის აღორძინების ასოციაციას“ ჩამოუტანა: ახალი, წვეთოვანი რწყვის სისტემის 3 კომპლექტი, რითაშორისების კულტივატორი და შესაყე-

ლი აპარატი. სოფლის საჯარო სკოლის შენობაში ასოციაციის წევრებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდა ტრენინგი. მონვეულმა პროფესორებმა, სოფლის მეურნეობის ექსპერტებმა: კობა კობალაძემ, გივი ბოგველმა და მალხაზ ბაბუნაშვილმა ისაუბრეს წვეთოვანი რწყვის, სასათბურე მეურნეობის და თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ ფერტიგაციის (ადვილად წყალხსნადი სასუქების შეტანა ნიადაგში წვეთოვანი მორწყვის სისტემის მეშვეობით) უპირატესობებზე; ტრენინგის მონაწილეებმა ნახეს თემატური ფილმი, შემდეგ გაიმართა დისკუსია სხადასხვა საკითხებზე. პროექტის ადგილობრივმა კოორდინატორმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ანა ბენაშვილმა ასოციაციის წევრებს გადასცა სამოქმედო

გეგმა და პროექტის ფარგლებში გამოცემული „მთვარის კალენდრები“, სადაც თვეების მიხედვით წერია ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო სასარგებლო რჩევები, გამოყოფილია გრაფები ყოველდღიური ჩანაწერებისთვის. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა გენად დიასამიძის საკარმიდამო ნაკვეთში გადინაცვლეს და ექსპერტების დახმარებით, პრაქტიკული სწავლების მიზნით, დაიწყეს წვეთოვანი რწყვის სისტემის დამონტაჟება სიმინდის ნათესში, პრაქტიკულად გამოსცადეს შესაყელი აპარატი პამიდორზე და კულტივატორი ანუ მოტობლოკი — ეზოს ბალახზე. წვეთოვანი რწყვის სისტემის დამონტაჟება მოხდება, ასევე, ამირან ბერიძის საკარმიდამო ნაკვეთში, მოგვიანებით — სათბურში, სამუშაოებს „სოფლის აღორძინების ასოციაციის“ წევრებთან ერთად, სოფლის

ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ოთარ ხოზრევანიძეც შეასრულებს. ტრენინგში და პრაქტიკულ სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ქონების მართვის კომისიის წარმომად-

გენელი გელა თეთრაული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი ლალი მანგოშვილი და რწმუნებულეთან ურთიერთობის სპეციალისტი ნონა გომელაური.



შრომასა და პატიოსნებაში ჩაგლილი ათწლეულები

ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვეტერინარული მომსახურების ჯიხურთან მუდამ ხალხმრავლობაა. ზამთარ-ზაფხულ რჩევისა თუ მედიკამენტებისათვის აქ უამრავი ადამიანი მოდის. გაზაფხულზე ხომ „მილაშვილების წინილის გამოზრდის რეცეპტზე“ მოთხოვნის ბუმი. ხშირად მოდიან და მოჰყავთ „ავადმყოფები“ დიაგნოზის დასასმელად, „ქირურგიული“ ჩარევისათვის. არც „ავადმყოფთან ვიზიტები“ აკლია მის მეპატრონეს მიმე შემთხვევებისას სწორედ მას მიმართავენ: არიქა, გვიშველე, ძროხას მოგება გაუჭირდა, ღორი მიკვდება, ცხვარი მიწყდება და... ისიც თავისი „ინსტრუმენტებით“ და ცოდნა - გამოცდილებით შეიარაღებული მზად არის ყველას საშველად. ამასწინათ კირვადიქების უზარმაზარ კერატს, რომელიც დასაკოდიც იყო და პარაფორად თიქარიც ჰქონდა, ხელი არავინ მოჰკიდა, შემოგვაკვებო. პატრონი კი ნუხდა: რა ვქნა, ასე რომ დავკლა, ხორცს მძაფრი სპეციფიური სუნი ექნება, ვერ გამოვიყენებ, ზარალში ჩავვარდები; მერე გურამ მილაშვილთან მისვლა ურჩიეს. „ოპერაციამ“ წარმატებით ჩაიარა და კმაყოფილი დიასახლისი სულ ხელეხს უკოცნიდა, ღმერთმა აგაშენოს, დიდ ზარალს გადაგვარჩინო. ასეა, როცა ცოდნა და გამოცდილება ერთმანეთს ერწყმის. ცოტადრო ხომ არ არის — თითქმის სამოცი წელია, ამ საქმეს ემსახურება.

1938 წლის 27 თებერვალს ქიტესა მილაშვილმა და თამარ გოგილაშვილმა პირველი



ყუყუნა და გურამი

შვილის - გურამის დაბადებით გაიხარეს. 3-4 წლის შემდეგ ქალიშვილი - ციალაც შეეძინათ. შრომობდნენ, ღამეებს ათენებდნენ, შვილებს პატიოსნებას და შრომისმოყვარეობას უნერგავდნენ. ქიტესა იშვიათი პროფესიის კაცი იყო - ის მთელი სიცოცხლე, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებამდე, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მებორნედ მუშაობდა. ალბათ, მილიონჯერ გადაულახავს ალაზანი ზამთარში თუ ზაფხულში, ამინდსა თუ უამინდობაში, გადაუყვან-გადმოუყვანია ხალხი, საქონელი, წერილი თუ მსხვილი ტექნიკა, მანქანები, კომბაინები, ტრაქტორებიც კი, (ასე იყო, მაშინ დიდ საბჭოთა ქვეყანაში გაერთიანებული „ძმები“ ვიყავით ჩვენ და აზერბაიჯანელები. ერთმანეთს ვეხმარებოდით მოსავლის აღებასა თუ ხვან-თესვით. ახლა ერთმანეთს ერთ გოჯ მინაზე ვედავებით, ისინი აშკარად ქრისტიანულ სალოცავებს ალბანურს არქმევენ და ნაგლეჯვას ცდილობენ!) ის დრო ტკბილ მოგონებადაა შემორჩენილი მილაშვილების ოჯახში. შვილიშვილებსაც კი კარგად ახსოვთ ალაზნიდან ამოტანილი დიდ-დიდი ნესეები და საზამთროები, მეტრიანი ლოქოები, ჯერ კიდევ ბოლოს რომ აფართხალდებდნენ.

გურამმა ნიუიორკის ქართულ სკოლაში რვა კლასი რომ დაამთავრა, სამტრედიის რაიონის სოფელ კულას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს მიაშურა, ვეტერინარის სპეციალობის დაეუფლა და განაწილებით სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეში დაიწყო მუშაობა ვეტერინარად. ერთ მშვენიერ, არა ცივ, ქარბუქიან დღეს, ბედის გორგალი რომ გაგორდა და საბუდოსთან მიიყვანა, ისეთი ამბავი დაემართა: მოსაცდელში ტრანსპორტს ელოდებოდა, უცებ პალტოს საკაოდ მოზრდილი ღილი (მაშინ ასეთი ღილები იყო მოდაში) ასწყდა, გაგორდა და ერთ ცქრილა გოგოს ყვებთან მიგორდა. სირცხვილით აიღანდა ვაჟი, მაგრამ ღილის ასაღებად მისულმა გოგოს თვალი მაინც შეავლო, შეავლო და მოეწონა. ასე დაიწყო ბოდბეში ყუყუნა კოჭლამაზაშვილის და გურამ მილაშვილის სასიყვარულო ისტორია. მაშინ ყუყუნა უკვე უმაღლესდამთავრებული ქალიშვილი

გახლდათ, სამსხურიც ჰქონდა და კარგი ავტორიტეტიც. საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა, საუკეთესო მოსწავლე იყო, მაგრამ... მამა სამამულო ომში დაკარგა, დედამ იტვირთა სამი ქალიშვილის გაზრდა, ძალიან უჭირდათ, ყუყუნა ნაბოლარა იყო და ამიტომ ხშირად უფროსი დების გამოწვევით ტანსაცმელი ეცვა. ახლაც ხშირად ამბობს: - ჩემს კაბებს საკრებელი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე თავანდელი მატერიაო. მას არ სცხვინია, თქვას, სილარიბეში გავიზარდეო, სამაგიეროდ პიროვნული ღირსება, თავმოყვარეობა, ნიჭი და შრომისმოყვარეობა იყო მისი საგანძური. ჰოდა, ღარიბი გოგონასათვის მედელი ვერ გაიმეტეს. მან კი ყველას დაუმტკიცა, რომ უფულოდ და უპატრონოდაც შეიძლება მიზნის მიღწევა. პირველივე წელს ჩაირიცხა და წარმატებით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის აგროქიმიკოს-ნიადგისმცოდნეობის ფაკულტეტი და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. სოფელში ორი კოლმეურნეობა იყო და ცილაობა ჰქონდათ, რომელთან ემუშავა. მან კი ორივეს გაერთიანებული აგროქიმიური ლაბორატორია ჩამოუყა-

ლიბა და ასე გადაჭრა მათი პრობლემა. მისი უნარი, საშემსრულებლო დისციპლინა და შრომისმოყვარეობა შეუმჩნეველი არ დარჩა და ის მაღაროში კახეთის საცდელი სადგურის ლაბორატორიის გამგედ გადაიყვანეს. სამსახურიც აწყობილი რომ ჰქონდა და სილარიბიდანაც რომ ამოვიდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა გურამი. გამოჩნდა და ერთი მშვენიერი ქართული ოჯახიც შეიქმნა. გურამი ჯერ სოფელ ჯაფარიდის კოლმეურნეობაში გადმოვიდა დარგის ვეტექიმად, მერე ნიუიორკის რაიონის სახელმწიფო კოლმეურნეობის ვეტექიმი იყო. რამდენიმე ათეული წელი რაიკავშირის დამხმარე მეურნეობას ხელმძღვანელობდა. შენ დამხმარე უნოდე და რალა არ ჰყავდათ: ძროხა და ღორი, 5 ათასი ფრთა ქათამი, 2 ათასი ფრთა ინდაური, 20 ათასი კურდღელი, ნუტრიები, ციცირი... პროდუქციას სახელმწიფოსაც აბარებდნენ და რაიკავშირის დაქვემდებარებაში მყოფ საზოგადოების ობიექტებსაც ნატურალური პროდუქტებით უზვად ამარაგებდნენ. გურამს უკვე ზოგოვანისტიკურების ვეტერინარის ფაკულტეტიც დამთავრებული ჰქონდა და ახალგაზრდა სპეციალისტს ნოვაციებიც არ აკლდა. საკვები ხარჯების შესამცირებლად მან ხელმეორეობა დადო წნორის ლუდის ქარხანასთან და იქიდან ათეული ტონობით გამოიხარშ ქერს ეზიდებოდა. - ვიდრე სატვირთო მანქანა წნორიდან ნიუიორკისკენ ამოვიდოდა, წვენი სულ გასდევდა და სუფთა მარცვალ რჩებოდა, რაც საკვებად ეძლეოდა როგორც ღორებს, ასევე ფრინველს. ამან დიდი ეკონომიკური ეფექტი მოგვცა, - ისხენებს გურამი.

მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო გამოყენებაზე უნდა ნახვიდეო, - უთხრეს, - არ დაეთანხმა, სადა მცალია აქეთ-იქით სასიარულოდო. ქება-დიდება და წარმოჩენა მისი მოწოდება არასდროს ყოფილა, არასდროს უცდია, თანამდებობა დაეკავებინა, ქვეშევრდომებისათვის ზევადან დახვება, პატიოსნად შრომობდა და სამაგიეროდ არაფერს ითხოვდა. კომუნისტური პარტიის რიგებში ისე მიიღო, თვითონ არც დაუწერია განცხადება. - ჩვენმა პარტიოვმა, ცხონებულმა შალვა ლეკაშვილმა ისე გაამზადა საბუთე-

ბი, არც გამიგია, ბიუროზე წასვლის წინლა მითხრა- ისხენებს გურამი, - მაშინ ბევრი რამ, თუნდაც ასეთი პარტიულობა და სხვა მსგავსი, მიუღებელი იყო, მაგრამ სიკეთე ის გახლდათ, რომ საშუაო იყო, საარსებო წყარო ყველას ჰქონდა, მშვიდი არავინ იყო. ვინ გაგაჩერებდა უმუშევრად?! ახლა ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ უმუშევრობაა, ხალხს შემოსავალი არა აქვს და ეს ყველაფერს აფერხებს, ვაჭრობასაც, განათლებასაც, მედიცინასაც. გადასახადებიც მაღალია, პენსია - დაბალი. ახლა მე ინდემნარმე ვარ, ვამუშავებ სალარო-აპარატს, ვანარმოებ ბუღალტერიას, ამის მი-



წოდარი, დალი და ლუკა



მარინა

ხედვით ვიხიდი საშემოსავლო გადასახადს, ამას სხვა გადასახადებიც ემატება, თანაც, სულ პატარა რაღაცაზე, ხან კი სულაც არაფერზე, ისეთ ჯარიმას გამოგიწერენ, მთელი თვე და ორი თვე წელში ვეღარ გაიშლები. პანანინა „ბუტკა“ მიდგას, კარგი იქნებოდა, ჩვენთვისაც, ისე როგორც თონებისა და საპარკმახეროებისთვის, ფიქსირებული გადასახადი დაენესებინათ და ამ საბუღალტრო საქმის წარმოებიდან გავენთავისუფლებინათ. რა ვიცი, იქნებ სამომავლოდ მთავრობამ ჩვენთვისაც შემოიღოს ეს წესი - გვიზარებს თავის ფიქრებს გურამ მილაშვილი.

25 წელი უძღვებოდა ნიუიორკის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს კადრების განყოფილებას ყუყუნა კოჭლამაზაშვილი. მთელი რაიონი ხელის გულივით გაიცნო და შეითვისა კიდევ. უყვარდათ თანამშრომლებს გონიერი, მშრომელი და სამართლიანი ადამიანი, კომუნიკაბელური, უფროს - უმცროსის მცოდნე და ჰუმანური. ოჯახშიც კარგი ავტორიტეტი ჰქონდა, დედამთილ - მამამთილი თუ გაუთხოვარი მული, მის მზეს ფიცულობდნენ, მხარშიც ედგნენ შვილების გაზრდასა და ოჯახის წარმოებაში. საუკეთესო მოსწავლეები იყვნენ მათი შვილები მარინა და ნოდარ მილაშვილები. ერთხელ არ მიუღიათ საყვედური მათ გამო. ორივე შვილმა უმაღლესი განათლება მიიღო: მარინამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა - მათემატიკის, ხოლო ნოდარმა კიბერნეტიკა - გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრეს. მარინა, უკვე ათეული წლებია, მშობლიურ ქ. დედო-

ფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში მათემატიკას ასწავლის.

- მარინა საუკეთესო სპეციალისტია, მან მათემატიკა მხოლოდ სასკოლო პროგრამის კი არა, სამეცნიერო დონეზე იცის, მაღალი პასუხისმგებლობა და სამეცნიერო დისციპლინით ხასიათდება, არის შრომისმოყვარე, უანგარო და კეთილი. ხშირად, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამეცადინებს ბავშვებს. ძალიან უყვარს ბავშვები და ბავშვებზე სიყვარულით პასუხობენ. ახლა მარინა მასწავლებელი სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის ემზადება. მანამ, წარმატებით გაართმევს თავს. ამას ყოველგვარი ფაქტორების გარეშე, გულწრფელად გეუბნებით, - ამბობს N1 საჯარო სკოლის დირექტორი მარინა მილაშვილი.

- მათემატიკა ისეთი საგანია, ერთი თუ ალღო აუღე და გონებაც მოგდექს, თავს ვეღარ დააღწევ. ძალიან მიყვარს ჩემი საგანი და ჩემი მოსწავლეები, ხანდახან სარგებლობენ ჩემი ჰუმანურობით და მამრახებენ კიდევ, მაგრამ ვპატიობ, რადგან გონებაგახსნილი ბავშვი, უმთავრეს შემთხვევაში, ცელქი-ცაა. უკვე რამდენმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში. ბევრი საუკეთესო მოსწავლე მახსოვს, რომელმაც გაამართლა და ცხოვრებაში წარმატებებს მიაღწია. მე ეს შეაწყება და სტიმულს მძლევს მუშაობისათვის - ამბობს მარინა მასწავლებელი.

ნოდარმა უმაღლესის დამთავრებისთანავე თანაკურსელ დალი მათემატიკაზე იქორწინა და ქალაქ რუსთავეში დასახლდა. მისი სპეციალობა ქალაქში უფრო გამოსადეგი იყო და სამსახურის დანებაც არ გასჭირვებია. მერე ცხოვრებამ მოიტანა და თბილისში ააწყო პატარა ბიზნესი, - კომპიუტერული ცენტრი გახსნა და იმ საქმეს ემსახურება, რაც, როგორც იტყვიან, ხუთი თითითი იცის. მეუღლეს ხალისიანი და მშრომელი გამოადგა. სულ მხარში უდგას ნოდარს საქმესა და ოჯახის მართვაში. ერთი „ნაკლი“ აქეთ მარტო. ერთ შვილზე მეტი არ გააჩინეს. ერთია, მაგრამ კარგია. 13 წლის ლუკა მილაშვილი კლასში ტოლს არ უდებს არავის. მასაც, მშობლების და ოჯახის ტრადიციის მიხედვით, მათემატიკური მიდრეკილება აქვს, თუმცა, ყველა საგანს კარგად სწავლობს. ძალიან უყვარს დედოფლისწყაროში პაპა-ბებიასთან ჩამოსვლა, მუდამ ერთი სული აქვს, როდის დაიწყება არდადეგები. მესამეკლასელი იყო, როცა თავისუფალი თემა დაწერა „მე მიყვარს ჩემი პაპა“ და ისე დაწერა, მასწავლებლები გააოცა სოფლის ყოფა-ცხოვრების ცოდნით, ადამიანთა დახასიათების და მათი სულში წვედომის უნარით. წარმატებული და ბედნიერი ყოფილიყოს პატარა ლუკას მომავალი, რადგან ის ერთადერთია (ჯერჯერობით), ვინც ამ ოჯახის მემკვიდრეობას აგრძელებს. მარინა მასწავლებლებმა წუნია-წუნიაობაში ჯერ კიდევ ვერ შექმნა ოჯახი, თუმცა, არასდროსაა გვიანი.

მილაშვილების ოჯახი გამოირჩევა თავისი ღვთისმოყვარეობითაც. მამა-პაპიდანაც მოსდგამთ, მაგრამ მარინამ და დალიმ გამოჩნული როლი შეასრულეს ოჯახის ჭკუმატილად მართმადიდებლურ მოქცევაში. ახლა ისინი ეკლესიურად ცხოვრობენ და უფლის ათი მცნების დამცველნი არიან. დღე და ღამ ერთმანეთის მხარდახმარე შრომობენ ყუყუნა და გურამ მილაშვილები, ყუყუნამ ისე აულო ალლო ვეტერინარის, ლამის „მასწავლებელს“ აჯობოს, ერთადერთი ოცნება შვილების და შვილიშვილის კარგად ყოფნაა. უფალმაც ხელი მოუშარათ და დიდხანს ჯანმრთელად ამყოფოთ რაიონის მეცხოველეების და მეფრინველეების იმედად.

ნაირა ბორაშვილი

სიცრუისა და სიმართლის გასაყართან, ანუ, ზოგჯერ აგენტებსაც ატყუებენ

რამდენიმე ხნის წინ, გაზეთი „შირაქი“ სოფელ მირზაანის მოსახლეობას შეხვდა. ისე, როგორც ყველგან, აქაური მაცხოვრებლებიც ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ, უფრო მეტიც, ზოგიერთნი მართლაც მედგრად დგანან და არსებულ პრობლემებს არ ებუებებიან. აღმოჩნდა, რომ უმუშევრობა, აქაური მაცხოვრებლებისთვისაც ერთ-ერთი ძირითადი თავსატეხია, თუმცა, აქაური ხალხი შეუპოვარია და, როგორც გვითხრეს, გაჭირვებას საკუთარი შესაძლებლობებით ებრძვის.

„მიჭირს, მაგრამ ცხოვრებას არ ვუშინდები და არც ვნუნუნებ, ვშრომობ და ლუკმასაც ვჭამ. აბა, სულ დაღვნილი ცხოვრება სად არის? ხან ცოტა მექნება, ხან სულ არა, მაგრამ არც ვინუნუნებ, დღეს თუ ხელს გაატოკებ, მშვიდი არ დარჩები. მაგალითად, მე ორი კვირა თოხში ვიმუშავე და ოჯახში 400 ლარი შევიტანე, ამის არც მრცხვენია. თოხის სეზონი წავა და სახლში დავვადებ, ახლა წინდება დავეცხოვრო და ვიყიდო, ჩემს შვილებს კი საჭმელს არ მოვაკლებ. არაფერს არ შევუშინებ. სააკაშვილი რამდენჯერაც კენჭს იყრის, იმდენჯერ ხმას მივცემ, ვინაცვალე მაგას, სოფელი ხალხის ცხოვრება ასეა, აბა, ზოგს ქალაქელივით ცხოვრება და მზამზარეული ხმელი ფული უნდა - ასე სად არის?!“ - გვითხრა 45 წლის მირზაანელმა დარეჯან ჩაგელიშვილმა.

„ჩვენი გასაჭირი ასეთია შვილო, წყლის, გაზის და დენის გადასახადი ერთი დღეც რომ დავაგვიანოთ, მეორე

დღეს გვიჭირან. განა არ შეიძლება, რომ დაგვაცადონ, რამე შელავათი ხომ უნდა გვეკონდეს?! აგერ, მირზაანის გამგეობის შენობა ჩამოინგრა და საკრებულო ბაღში შებარგდა, ესეც ჩვენი გასაჭირია. მუზეუმში არავინ მოდის, რომ რამე გაკეთდეს, ჩვენსკენ არავინ იყურება, აი, ესენი უნდა აიღნიშნოს, რომ ხალხს მართლა რაც გვიჭირს, გაიგოს ხელმძღვანელობამ, გვინდა, რომ გაზეთში, რომელიც მე ვთვლი, რომ ჩვენ, ხალხს

წინაშე აღმოვჩინდებით-ხოლმე, რაც საკმაოდ არასასიამოვნო სიტუაციას გვიქმნის. ამგვარ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამჯერადაც. სოფელ მირზაანის მაცხოვრებელი ნელი ჩაგელიშვილი „შირაქთან“ საუბრისას თავის ემოციებს ვერ თოკავდა და საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებდა. - „გაჭირვებისგან ხალხი ისეთ დღეში ვართ, ერთმანეთის მიმართ არასასურველი დამოკიდებულება გავიჩინდა, მეც ძალიან მიჭირს, ხანდახან

ვებისგან 38 წლის ბიჭი ვერ დამიქორწინებია, ახლაც ნასულია და სად არის გადაკარგული, არც კი ვიცი, შრომის გმირი ქმარი მყავდა, გარდამეცვალა, მარტოხელა დავრჩი, ადრე თოხში დავდიოდი, ახლა ამის თავიც აღარ მაქვს. გთხოვთ, დაწერეთ ჩემი გასაჭირი, არაფრის არ მერიდება!“ - ამბობდა „შირაქთან“ საუბარში 60 წელს გადაცილებული ქალბატონი, რომლის გასაჭირმა მართლაც გული ამიჩუყა.

ჰყოლია. ყველაზე მთავარი კი, ის გახლავთ, რომ ჩაგელიშვილს ნამდვილი ოჯახური მდგომარეობა სოციალური აგენტისთვისაც დაუმალავს, რისთვისაც, წესით, მას ორი წელი სოციალურ სააგენტოში დახმარებაზე განაცხადის შეტანა ეკრძალება, თუმცა, მიუხედავად ამისა, აგენტმა ის შეიბრალა და მისცა უფლება, განაცხადი კვლავ შეიტანოს, - ვიგვეთ დათუკიშვილისგან. იგივეს აღნიშნავს მოსახლეობა - „ჩაგელიშვილი ჯერ კიდევ კარგად გამოიყურება და შრომისუნარიანია, ამასთან ჰყავს შრომისუნარიანი ბიჭი, სოფელში კი, მასზე მეტად გაჭირვებული სხვაც ბევრია, რომელსაც სოციალური დახმარება მართლა ჰაერივით სჭირდება, მაგრამ ვერ იღებს“ - აღნიშნავენ მირზაანელები.

აღნიშნულ ამბავს, რომ ყველა მეორე ადამიანი მინცდამინც სოციალურ დახმარებას ითხოვს, ეთანად-ერთი ახსნა აქვს, - იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყანაში დაუსაქმებლობის პრობლემა კვლავ აქტუალურია, გამწარებული ხალხი სოციალურ სამსახურს აწყდება, მაგრამ, არც ისეა ჩაღვნილი დახმარება, რომ ტყუილ-მართალი არ გაირკვეს. ამიტომ ნელი ჩაგელიშვილის საქმე, მაგალითად უნდა იქცეს ყველა იმ მოქალაქისათვის, რომლებიც ცდილობენ არასწორი ფაქტებით გული აგვიჩუყონ და შეცდომაში შეგვიყვანონ. თუმცა, ხომ გაგიგონიათ ქართული ანბანი: „ტყუილის მოკლე ფეხები აქვსო“. ამ შემთხვევასაც სწორედ ასეთი დასასრული ჰქონდა.

ლალი მხრიშვილი



გვეკუთვნის, ჩვენი გასაჭირიც უნდა იწერებოდეს!“ - აღნიშნავს მირზაანის მაცხოვრები დომენტი ყოჩიაშვილი.

ყველაზე მეტად ერთ-ერთმა ქალბატონმა დაგვამახსოვრა თავი, რომელიც ისევ და ისევ სოციალური სამსახურის წინააღმდეგ მწვავე განცხადებებს აკეთებდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს, რედაქციაში უამრავი ადამიანი გვაკითხავს. შემოსული მოქალაქეების ყველაზე დიდი ნაწილი, რატომღაც სოციალური დახმარების სააგენტოზეა გულმოსული. ხშირია შემთხვევები, როდესაც რესპოდენტი ჩვენთან საუბარში ტყუის, თავს გვაცოდებს და ამით შეცდომაში შეგვყავართ. ჩვენ მას ვუსმენთ, სამუშაო დროს ვუთმობთ, მასალაზე მუშაობის დროს კი, სხვა ფაქტების

ისე ვარ, რომ ერთი „დანება“ ფეკილი არ მაქვს, ეს ცხოვრებაა? ამ წუთისოფელზე ძალიან შემომწყრალი ვარ, სოციალურ დახმარებას ვითხოვ რა ხანია, მაგრამ არ მაძლევენ, უფრო სწორად მქონდა და მომიხსნეს. თუ აქამდე მეკუთვნოდა, ახლა რატომ აღარ მეკუთვნის?! მითხრეს - „შენ დახმარება არ მოგეცემა და ვერც ვერაფერს დაგვაკლებო, ისეთი გაბრაზებული ვარ, ლამის თავი ჩამოვიხრჩო, მითხრეს, რომ ტყუილი გივლია და შემა გიჭირაო და რაღა დახმარება გინდაო, - დიას, ვაღიარებ, რომ ტყუილი დავდივარ და ცუდით შემასაც ვჭრი, აბა რა ვქნა?! განა ქალი ტყუილი რომ წავა შეშის საჭრელად, თან მგლის შიში რომ ექნება, არ შემჭამოსო, ის ცხოვრება ცხოვრებაა, შვილო?! გაჭირ-

მისი გასაჭირი, რომელიც ასე გულისამაჩუყებლად ჟღერდა, მართალია, გავიზიარეთ და აგერ საგაზეთო სტატიასაც ვწერთ, მაგრამ სოციალურ სააგენტოსთან დაკავშირებამდე, ჩვენ დავეუკავშირდით თავად მირზაანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ზურაბ დათუკიშვილს. აღმოჩნდა, რომ ქალბატონი ნელი ჩაგელიშვილი გაზეთს არაზუსტ ინფორმაციას აწვდიდა, რაც მთლიანად ცვლიდა მის სოციალურ მდგომარეობას. დათუკიშვილის თქმით, ნელი ჩაგელიშვილს ჰყავს ვაჟი, რომელიც მუშაობს ტარიბანის ნავთობკომპანიაში, აქვს ხელფასი და საბჭოთა დროის მანქანაც, ამავე დროს იგი დაქორწინებულიც ყოფილა, ისე, რომ ჩაგელიშვილს სახლში რძალიც

ერთი შეხვედრით მოგვარებული ზრობლემა

(პირველი გვერდიდან)
როცა პრეზიდენტს ამ პრობლემაზე ვუყვებოდი, იმედი არ მქონდა. ამხელა რეაქციას ნამდვილად არ ველოდი. მე ჩემს თავზე კი არ ვუაბებ, ზოგადად ვთხოვ, რომ C ჰეპატიტით დაავადებულთთვის რამე ცვლილება შეეტანა, რომ ამგვარი მკურნალობა პოლისით დაფინანსებულიყო. სხვაგვარად გაუსაძლისი ვითარება იქმნებოდა. მხოლოდ საკუთარი პრობლემა არ მიგულისხმია. დამიჯერეთ, იმედი ნამდვილად არ მქონდა, რომ სიტუაცია ასე განვითარდებოდა. სიმართლე გითხრათ, ახლაც არ მჯერა, რომ ყველაფერი ასე მალე გადაიჭრა და ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, მეორე დღიდან მკურნალობა რომ დავიწყე. ჯერ ვაცნობიერებ, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდება, თავი სიზმარში მგონია“ - განუცხადა „შირაქს“ ცისანა მიგრიაულმა.

ცისანა მიგრიაული მაღლიერების სიტყვებს არ იშურებს და აცხადებს, რომ ამ თანხის გადახდას და შესაბამისი სამკურნალო კურსის გავლას დამოუკიდებლად საკუთარი მწირი შემოსავლებით ვერასოდეს შეძლებდა. მისი თქმით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მას დღეში რამდენჯერმე



უკავშირდება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით ინტერესდება. მიგრიაული არ მალავს, რომ არც დედოფლისწყაროს გამგეობიდან წამოსულ ამხელა ყურადღებას ელოდა. „სოციალურად დაუცველი ოჯახი მაქვს, რის გამოც ვერ ვმკურნალობდი. მადლობელი ვარ პრეზიდენტის, რომელმაც მე ჯანმრთელობა შემინარჩუნა და სიცოცხლის წლები მაჩუქა. უდიდესი მაღლიერი ვარ ამ დიდი წყალობისათვის ღმერთისა და პირველ რიგში ჩვენი პრეზიდენტისა. ეს იყო მფარველი ანგელოზი ჩემი ჯანმრთელობისა. ძალიან მადლობელი ვარ კახეთის გუბერნიის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, ასევე სოფლის რწმუნებულის ხვირა თეთრაულის. დედოფლისწყაროს გამგეობიდან ყოველდღიურად მირეკავენ, გამგებელიც ინტერესდება ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით. ისინი ყოველ წუთს ყურადღებას გამოხატავენ და მთხოვენ, რომ დაუცველი თუკი რაიმე დამჭირდება, აუცილებლად შევატყობინო“, - ამბობს მაღლიერი პაციენტი.

ილია მარტყოფლიშვილი

ჯილქები

ჯილქები (ციმბირის წყლული) ინფექციური დაავადებაა, რომელიც სნებოვანდებიან როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველები – მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონელი, ღორი, ძაღლი და კატა.

ჩამოყალიბდება ბუშტუკად. ბუშტუკი მოყვითალო-მოშავო ფერის შიგთავს შეიცავს. ავადმყოფს ანუხებს წვა და ქავილი. შემდეგ ბუშტუკი სკდება და მის

გვხვდება (1-2 %) ზიანდება შინაგანი ორგანოები, რაც საბოლოო ჯამში სიკვდილის მიზეზი ხდება. დაავადების გადატანის შემ-

საფხვრელად. აღსანიშნავია, რომ ჯილქის გამომწვევი ჩხირი გარემოში წარმოქმნის სპორას, რომელიც საკმაოდ გამძლეა – წყალში ინარჩუნებს ცხოველ-

ღურ სამარხში. სამარხი უნდა იყოს შემოღობილი და გარკვეული დროის განმავლობაში მიწის სამუშაოების ჩატარება ამ ტერიტორიაზე აკრძალულია.

აუცილებელია დაავადებული ცხოველის სადგომის და ავადმყოფის საცხოვრებლის დეზინფექცია, მეთვალყურეობის დანერგვა ოჯახის წევრებზე. საჭიროა ჯილქის მხრივ საეჭვო და ჯილქიან ავადმყოფებთან კონტაქტში მყოფი პირების იზოლაცია 8-10 დღით.

2012 წლის 13 ივნისს დედოფლისწყაროს ვეტერინარული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დედოფლისწყაროს რაიონში „მწარე წყლის“ ტერიტორიაზე მდებარე ფერმაში დაფიქსირდა საქონელში ჯილქით დაავადების შემთხვევა. დაავადებული საქონელი დაკლეს-გაატყავეს-მიირთვეს ფერმის მუშებმა. დღეისთვის აქედან 3 მათგანს დაუდასტურდა ჯილქის კანის ფორმა, ამიტომ დიდია სხვა შემთხვევების გამოვლინების რისკი. აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები, მომუშავე პერსონალი ინფორმირებულია შესაბამისად და იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი მოუწოდებს მოსახლეობას, დაიცვას სიფრთხილის ზომები. ჯილქის პროფილაქტიკის მიზნით, აუცილებელია, საქონელს ჩაუტარდეს იმუნიზაცია (ავრა).

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსი **ცინთია**



ადგილას წარმოიქმნება შავი ქერქით დაფარული უმტკივნეულო წყლული, რაც ძალზე დამახასიათებელია ჯილქისათვის.

დედოფლისწყაროს რაიონში წინა წლებში რამდენჯერმე გამოვლინდა ჯილქის შემთხვევა, რის შემდგომ ჩატარდა საჭირო ღონისძიებები კერების აღმო-

მოფელობას 10 წლის, ხოლო წინადაგამი 15-20 წლის განმავლობაში, უძლებს ერთ საათთან დუღილს, სამაგიეროდ კარგად იტანს დაბალ ტემპერატურას. ამიტომ აუცილებელია ჯილქით დაავადებულ ცხოველთა ლეშების განადგურება — დაწვა ან ჩაფლვა საქონლის სპეცია-

ცხოველებში ჯილქი მიმდინარეობს გენერალიზებული ფორმით, ავადმყოფი საქონელი მასიურად გამოყოფს მიკრობებს და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ითვლება ინფექციის წყაროდ. პირუტყვი ილუპება ერთ-ორ დღეში. შემდგომში დაავადება გადაეცემა ადამიანს დაავადებულ ცხოველთან კონტაქტის გზით, ცხოველის ნაკვალავთან შეხებით, ტყავის, ბენჯის და ხორცის დამუშავების დროს, სამიშროებას ქმნის ინფიცირებული ნიადაგიც. მოსალოდნელია დაავადების გადაცემა სისხლმწოვი მწერების მეშვეობითაც, აგრეთვე ინფიცირებული ჰაერით (ტყავის, მატყლის დამუშავებისას). ამიტომ ყველაზე ხშირად ავადდებიან სოფლის მეურნეობის, სასაქალოს და ფერმის მუშაკები. თუმცა, ინფექციის წყაროა ჯილქის კანის ფორმით დაავადებული ადამიანიც.

ჯილქის გამომწვევი ჩხირი ორგანიზმში შეიჭრება დაზიანებული კანიდან და ღორწივანი გარსებიდან. დაავადება გამოვლინდება რამდენიმე საათიდან 8 დღის განმავლობაში. არსებობს ჯილქის კანის და გენერალიზებული ფორმა.

კანის ფორმის დროს მიკრობის შეჭრის ადგილას წარმოიქმნება ჯერ წითელი ლაქა, რომელიც რამდენიმე საათში

მონატრება

დალი ბენაშვილი



სიკვდილმა თვალსა და ხელს შუა გამოგვაცალა შენი თავი. ალბათ თვითონაც ვერ გააცნობიერე, თუ რა ხდებოდა შენს თავს. აუტანელია უშენობით გამონვეული სულის ტკივილი.

სიკეთით და სიყვარულით სავსე ჩვენმა დიდმა ამაგდარმა ქალმა ისე დაგვტოვე, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოასწარი.

ჩვენო ძვირფასო, საყვარელო დალი მამიდა! უსაზღვროდ გვინატრები ყველას. პირველ რიგში შენს გაზრდილ პატარა სანდროს და მარიამს. ისინი უშენობას ჯერაც ისე განიცდიან და გელიან. შენი ამაგი და ზრუნვა ხომ აუწონავი და ფასდაუდებელია შენი ძმისშვილებისთვის და შვილიშვილებისთვის. უსაზღვრო და უანგარო სიკეთით სავსე გული გქონდა.

ჩვენო ამაგდარო დალი, შენი დაკარგვით დიდი იმედი დაკარგა არა მარტო შენმა ძმამ და ძმისშვილებმა, არამედ სრულიად საქართველოს ბუნების დაცვის და წყლის რესურსების სამინისტროს თანამშრომლებმა, სადაც ერთ - ერთი მთავარი სპეციალისტი, პასუხისმგებელი პირი იყავი. ორმოცი წელიწადი ხომ შენს საქმეს ერთგულად ემსახურებოდი. ამიტომაც ნიჭიერი, საქმის ერთგული და პატიოსანი თანამშრომლის სახელი დატოვე.


შენ ყველას მამიდა იყავი. თუმცა შენი საკუთარი ოჯახი და ქმარ-შვილი არ გყავდა, მაგრამ გვეუბრებოდა, შენს სულს არაფერს მოვაკლებთ. ვიდრე ბენაშვილების გვარი არსებობს, შენი სახელი დაუვიწყარი იქნება. ჩვენს შვილიშვილებს და შვილთაშვილებს გადავცემთ შენი სიკეთის ამბავს. ვეტყვი, რომ ამ დიდი

27 ივნისს მოვალთ შენს საფლავთან, მოგიტანთ ყვავილებს, აგინებთ წმინდა სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი სული. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ქიზიყის მიწა.

შენი ძმა და რძალი: **ბაჰან და მერი ბენაშვილები**

მოქველავულ ელექტროსადენებს გამარჯვებაში მსხვირალი მოკვსა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში 23 წლის ბიჭს დენმა დაარტყა. ადგილობრივი მეკიდრი ილია (იკა) ხუციშვილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევა 19 ივნისს დილით მოხდა.



როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ქირურგი გიორგი ბოსტოლანაშვილი აცხადებს, სტაციონარში მიყვანისთანავე ბიოლოგიური სიკვდილი დაფიქსირდა.

სოფელ გამარჯვების ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ელგუჯა ნიკლაურის განმარტებით, უბედური შემთხვევა გარდაცვლილის მეზობლად მდებარე ბინაში მოხდა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, იკა ხუციშვილი მეზობლის სახლის ჭერზე იმყოფებოდა, რა დროსაც დენმა დაარტყა.

ჭერშიც ამ მიზნით ავიდა. სამწუხაროდ, როგორც თვითმხილველები ამბობენ, დენმა გადაიტანა. სკოლაში ერთად ვსწავლობდით და ძალიან გულიანი ბიჭი იყო. ბოლოს, ორი კვირის წინ, ბანკში შემთხვევით ვნახე. მთელი კლასი და სოფელი განვიცდით ამ ამბავს,“ – განუცხადა გაზეთ „შირაქს“ გარდაცვლილის თანაკლასელმა გიორგი სულაშვილმა.

„საოცრად კარგი ახალგაზრდა იყო, ყველა კარგად ახასიათებს. 19 ივნისს მეზობლის ბინაში იმყოფებოდა და როგორც ვიცი, დენმა იქ დაარტყა. როგორ მოხდა და რამ გამოიწვია გარდაცვალება, ვერ გეტყვით. ამას გამოძიება დაადგენს,“ – აცხადებს ელგუჯა ნიკლაური.

მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. მომხდარი მოძველებულ ელექტროსადენებს უკავშირდება.

„ამ სახლში, სადაც ტრადიციულად მოხდა, იკა სხვა თანასოფლელებთან ერთად მშენებლობაზე მუშაობდა.

ილია მარტყოფლიშვილი

უახლოესი მეგობარი წინელი მჭედლიშვილი, მეუღლე ოზიმარდ იაკობიშვილი, შვილები: ზაზა, გია, თეა იაკობიშვილები დიდ გულსიტკივილს გამოხატავენ და სამძიმარს უცხადებენ დალი და ოთარ ბუნტურებს ძმის **ლარბის** გარდაცვალების გამო. ღმერთმა დაამკვიდროს მისი სული იქ, სადაც მართლნი განისვენებენ. უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს ლარბის სპეტაკი სული.

ოზიანის საჯარო სკოლის პედოლოგიტივი სამძიმარს უცხადებს სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგს მარიამ (დოდო) ჯანაშვილს დედის **კაპატარინძის** გარდაცვალების გამო.

ოზიანის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სამძიმარს უცხადებს სკოლის დირექტორს მზია ლეკაშვილს დისშვილის **გომიძის** გარდაცვალების გამო.

სს „არწივის ხეობის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დალი და ოთარ ბუნტურებს ძმის **ლარბის** გარდაცვალების გამო.

კლასიკური მუსიკა ჩვენი სხოვრების ნაწილია

როდესაც ვსაუბრობთ ხელოვნებაზე, ცხადია, გვერდს ვერ ავუქცევთ მუსიკას, ფერწერას და მხატვრობას, რადგან წარმოუდგენელია ცხოვრება მათ გარეშე. ალბათ, მუსიკისა და მხატვრობის გარეშე ქვეყანაზე მხოლოდ თეთრ-შავი ფერი იარსებებდა და ძალიან მოსაწყენი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება. სწორედ ვამბობთ ხოლმე, და მართალიცაა, რომ რეგიონის მოსახლეობა მოკლებული ვართ რაიმე ამაღლებულს, ღირებულს, ვალშიჩამწვდომს. ჩვენთვის იშვიათობაა თეატრის, კინოს, ოპერის და ბალეტის მოსმენისა თუ ყურებით მიღებული სიამოვნების განცდა. არცაა გასაკვირი, ამ ბედნიერებით უმეტესად მხოლოდ დიდი ქალაქების მცხოვრებლები არიან განებივრებული. რეგიონებში კი, ამ ლაფსუსს საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც მუსიკისა და ხელოვნებისადმი არც თუ ისე გულგრილ დამოკიდებულებას გამოხატავს, ხელოვნების სკოლები გვივსებენ. არ ვიცი, ვის როგორ უყვარს კლასიკური მუსიკა, მაგრამ თუ ამქვეყნად ესთეტიკაზე და მშვენიერებაზე ვსაუბრობთ, უტყუარია, რომ ეს მშვენიერება კარგი კლასიკური მუსიკის მოსმენა და ხელოვნების შედეგების ხილვა გახლავთ. ამიტომაც ყოველთვის, როდესაც ხელოვნების სკოლაში მუსიკის კონცერტზე მიხდება ნასვლა, დიდი სიამოვნებით მივდივარ და ვხდები მერაბიშვილის „თოჯინების ცეკვის“, კომპოზიციის „ეტიუდის“, მოცარტის „პანტომიმის“, ტურიანოვილის „შობის ღამის“ და სხვა კომპოზიტორების მიერ შექმნილი ჰანგების ტყვე. ეს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის მართ-

ლაც ნიჭიერი პედაგოგებისა და მოსწავლეების დამსახურება გახლავთ. ღონისძიება დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საფორტეპიანო განყოფილების გამგეს, მუსიკის პედაგოგს ლია ხაჩიაშვილს და ამავე სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეს ნათია თავაძეს მიჰყავდათ. კონცერტის დასაწყისში მასწავლებლის წინაშე ხელოვნების სკოლის საფორტეპიანო განყოფილების უმცროსკლასიელი გუნდი წარსდგა სიმღერით: „მშვიდობა მენდა, მშვიდობა.“ შემდეგ კი, სხვადასხვა მოსწავლეებმა ააჟღერეს ფორტეპიანო. ჩვენს წინაშე წარსდგნენ დედოფლისწყაროს, არბოშკის, ზემო მაჩხაანის, სამრეკლოს და ზემო ქედის სამუსიკო განყოფილებების მოსწავლეები. ეს გახლდათ მართლაც მაღალი დონის კლასიკური მუსიკის ორსაათიანი კონცერტი, რომელმაც ვინ იცის, ვინ საით გაგვიტაცა ფიქრებით, ვის რა მოგონებები აღგვიძრა და რა ემოციებთან დაგვაახლოვა. პირადად მე, კლასიკური მუსიკა ყოველთვის ლალ და ბედნიერ ბავშვობაში მახრუნებს, როდესაც „მოცარტის“, „ბახის“ და „მენდელსონის“ მელიდიებს ბევრად ვეუფლებოდი და ახლოს ვეზიარებოდი დიდი კორფეების მიერ შექმნილ ულამაზეს მელიდებს. ამიტომაც იყო, რომ აქ გამართულ ღია აკადემიურ კონცერტს ვერაფრით მოვწყდი, მინდოდა იქ გაჟღერებული თითოეული ალებული ნოტი გულდასმით მომესმინა, რათა ეს სიამოვნება დიდხანს, დიდხანს გამყოლოდა საგზლად. მოვიხიბლე ნინო ლაპიაშვილის, თამარ და მარინე კიკილაშვილების, მაკა ზურიკაშ-



ვილის, ირმა მესხიშვილის, მანანა რამაზანაშვილის, ლიანა გიგოლაშვილის, ლია ხაჩიაშვილის, ფიქრია ქადაგიძის, ხათუნა ფიროსმანაშვილის, ნინო რობიჯაშვილის, მარიკა პირზადოვას, ნინო ნიკვაშვილის მიერ მომზადებული მოსწავლეებით. ღონისძიებაზე თამარ კიკილაშვილის მოსწავლეებმა დაუკრეს ვიოლინოზე, რომელსაც კონცერტმესტერობას უწევდა პედაგოგი და საუკეთესო მუსიკათმცოდნე თამილა ნადირაშვილი. მომენონა მესამე კლასის მოსწავლის ლუკა ქისტაურის მიერ შესრულებული ნანარობების მოსმენა, დარბაზში ტაში არ წყდებოდა დები ლოლაშვილების ქართული ხალხური სიმღერების პოპურის მოსმენის შემდეგ, მოვიხიბლე მოსწავლე მარიამ ნატროშვილის მიერ შესრულებული მერაბიშვილის ნანარობებით, ლიანა გიგოლაშვილისა და ანასტასია ყორიაშვილის (კეკეა „სვანური“), და ბოლოს, მალვინა ისმაილოვათი, რომელმაც ერთდროულად შესანიშნავად შესარულა რამდენიმე ნანარობი ფორტეპიანოზე (პედაგოგი ნინო ლაპიაშვილი), შემდეგ იმღერა სიმღერა კინოფილმიდან „მანა წყნეთელი“ (პედაგოგი გელა გველუკაშვილი) და დაუკრა ვიოლინოზე (პედაგოგი თამარ კიკილაშვილი.) მიმანია, რომ მალვინა ისმაილოვა ნამდვილი აღმოჩნდა, მისით არა მარტო მისმა სკოლამ, არამედ მთელმა რაიონმა უნდა იამაყოს. წარუდგინეთ ეს ბავშვი პროექტ ნიჭიერს ამ ნომრებით და ის აუცილებლად ასახელებს ჩვენს რაიონს! დასასრულს, იმღერა უფროსკლასელთა გუნდმა, ხოლო შემდეგ ტრადიციული საჩუქარი მასწავ-

ბელს- სცენაზე ხელოვნების სკოლის მუსიკის მასწავლებლების მთელმა შემადგენლობამ შესარულა „მრავალჟამიერი“. არ ვიცი, ვის რა გრძობა დაეუფლა, მაგრამ პირადად ვთვლი, რომ იმ დღეს, ნამდვილი ხელოვნების ზემო ვიხილე და კიდევ ერთხელ მივხვდი, რამდენად თავმდაბლები და ამავე დროს, ნიჭიერები ვყოფილვართ დედოფლისწყაროელები! ამ სიამოვნების მონიჭებისთვის მადლობა მუსიკის პედაგოგებს, ხელოვნების სკოლის დირექტორს აკაკი მერაბიშვილს, მოსწავლეებს და მშობლებს, იმისთვის, რომ საკუთარი შვილების მუსიკასთან ზიარების აუცილებლობა აქვე გათავისებულნი. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს წარმომადგენლები, ასევე, გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყორიაშვილი და ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი ნელი გობეჯიშვილი, რომელმაც გაიხსენა მუსიკალური სკოლის განვლილი ძნელებდობის და სირთულეებით აღსავსე წლები. მანვე აღნიშნა, რომ მისთვის ამ კონცერტზე ყველაზე ამაღლებელი ორი თაობის წარმომადგენელი პედაგოგების სცენაზე ყოფნა გახლდათ. ქალბატონმა ნელი გობეჯიშვილმა ამავე დღეს საჩუქარი გაუკეთა ზემო ქედის სამუსიკო სკოლას და მათ მუსიკის პედაგოგს გუნდის გაკვეთილების უკეთ წარმართვის მიზნით საჩუქრად გადასცა მუსიკალური ცენტრი.

ლალი მესხიშვილი.



სპორტი

ქართული ჭიდაობა

ქალაქ საგარეჯოში ჩატარდა ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში 2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ დედოფლისწყაროელი სპორტსმენები, კერძოდ მუნიციპა-

ლიტეტის ნაკრები გუნდი. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: 30 კგ. წონით კატეგორიაში ირაკლი ლალიაშვილი და 42 კგ. წონით კატეგორიაში ლაშა ბექაური. მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ: გეგა ნიკლაური(30 კგ.); დავით ალადაშვი-

ლი(34 კგ.); ბექა ბუქური(38 კგ.); ვალერი ჯავახიშვილი(42 კგ.). ეს სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფინალურ პირველობაზე. გუნდი ასპარეზობისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა კახა ნიკლაურმა, ვაჟა მოსულიშვილმა და გელა ბექაურმა.

ვიზიტი

შევიძენ ავტომობილ „ოპელ - ასტრას“; ფასი - შეთანხმებით (განვადებით). მსურველებს შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ნომერზე 568-36-17-99 იკითხეთ თამაზი.

იხილეთ!

იყიდება მოქმედი მაღაზია საცხოვრებელ სახლთან ერთად. მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ.№79. ტელ: 599692828; 579692828 იკითხეთ სტეფანე

* * *

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთთაბანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ: 571 55 99 51. იკითხეთ ლია. ფასი შეთანხმებით

აგინდი		დედოფლისწყარო													
შაბათი 23.06	კვირა 24.06	ორშაბათი 25.06	სამშაბათი 26.06	ოთხშაბათი 27.06	ხუთშაბათი 28.06	პარასკევი 29.06									
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
25°	21°	22°	20°	22°	20°	23°	20°	23°	21°	24°	22°	23°	21°		

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მესხიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მინაილ გვარამიშვილი (სტილისტ-მწიგნობარი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწიგნობარი); მზინა ქანჭავაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში	რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	--	---	---